სამუელს უბაროდა, როცა ეანდარმებმა გამოუძახეს და შეძლო ენახა მახლობლები, რომლებსაც წარმოუდგენლად გასჭირვებიათ პოლიციურ ბანაკში შემოლწევა. აქვე ვიტყვი, რომ კასანდას ცოლმა ერთხელ ერთი ჭამი ბიდია მოიტანა. — ეს პალმის ზეთით მოზელილი სიმინდისა და მანიოკის ფქვილია. ოდესღაც ცნობისმოყვარეობის გამო მეც მიჭამია ბიდია, უფრო სწორად რომ ვთქვა, პაწაწკინტელა ლუკმა გადავყლაპე. აქ კი ორი პეშვი მურა ფერის ცომი აშკარად ინტერესებს უღალატეს და დასავლეთთან მორიგება ამჯობინე ს. ადგილმბრივი ლიდერები ეხმარებიან კოლონიზატორებს. თავისი, შინაგანი მტრის გამოცნობა, გამომძღავნება უფრო ძნელია.

სამ თებერვალს, პატიმრობის მეხუთე ღღეს, საკნიდან ეზოში გამომიყვანეს. როგორც იქნა ჩემთან მოაღწია ჩეხოსლოვაკიის კონსულმა ჯარელ სვობოდამ.

— გაგასამართლებენ, — მაცნობა ჩეხმა მეგობარმა.

— გამესამართლებენ! რისთვის?

— გასამართლება მაინც სჯობს. შეიძლებოდა უარეში მომდარიყო, — მამშვიდებდა იგი.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენლებს ფეხები დასწყვეტოთ ჩემი პატიმრობის ადგილის ძებნაში. „სიურტე ნასიონალში" მათთვის უცნობებიათ, რომ ჩემს შესახებ არაფერი არ იცოდნენ. ასეთი უტიფარი სიცრუე ჩვეულებრივი ამბავია ლეოპოლდვილში, შინაგან საქმეთა სამინისტროსაც „არავითარი ცნობა არ ჰქონდა". ჩეხებმა ლეოპოლდვილის ორ საპყრობილესაც — მაკალასა და ნდოლას მიაკითხეს. პასუხი ერთი და იგივე იყო — ასეთი არ არის; ჯერ კიდევ არ მოუყვანიათო. სწორედ ასე უპასუხეს: ჯერ კიდევ არ მოუყვანიათ! ამ დღეების განმავლობაში ჩეხოსლოვაკიის საელჩომ ორჯერ განაცხადა პროტესტი „იზვესტიის" კორესპონდენტის უკანონოდ დაპატიმრების გამო, მოითხოვდა ჩემს დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

ჩეხოსლოვაკიის კონსულმა რომ მინახულა, იმედი ჩამესახა. ცოტა ვიძინე. კასანდას მეკრდზე თავმიყრდნობილმა. ღამით, უკუნეთ წყვდიადში რომ ვიდექი, მეკობალჯერ ვიმეორებდი კარელ სვობოდას სიტყვებს: „მოსკოვმა იცის, რომ დგაპატიმრეს". და ამავე დროს გული მეკუმშებოდა იმის ფიქრით, რომ ოჯახმაც იცოდა და დარდობდა!

დილით ადრე ბაკნიდან გამომიყვანეს და სატვირთო ავტომაჭანის ძარაში ჩამსვეს. გავშურნენ ქალაქისაკენ, ნდოლას საპყრობილესაკენ. დოკუმენტით გადაცეს, და გულში მიხაროდა: მაშასადამე, ჩემი გვარი მაინც აღნიშნულია საპყრობილის დოკუმენტებში.

ჩემი გარეგნობა უკვე სავსებით შეეფერებოდა პატიმრის მდგომარეობას, და, ეტყობა, ამიტომ, ნდოლაში აღარ გავშიშველებივარო. მაშინვე შემიყვანეს ერთიულ საკანში, რომელსაც ორ ნაბიჯ ნახევარი სიგრძე ჰქონდა და ნაბიჯი და მეოთხედი სიგანე. ნდოლაში ზის ბევრი პოლიტიკური პატიმარი, რომლებსაც რეჟიმი სდევნის. ისინი ერთიულ საკნებში ჰყავთ, ეზოში კი, ღია ცის ქვეშ ქურდბაცაცები სხედან. მიჩვენეს საკანი, სადაც დამწყვდეული ყოფილა პატრის ლუმუმბა. ძმიმე მოგონებანი მოელი არსების დაძაბვას იწვევენ. უეცრად კარი გაიღო, და ჯარისკაცმა იატაკზე სალფავიანი ჯამი დადგა. მობრუნდა ერთი საათის შემდეგ, საჭმელი ხელუხლებელი დახვდა. საშინელი ზმით მიყვიროდა, მაგრამ ამაოდ. საჭმლის მიღებაზე უარი ვთქვი. მოახსენეს საპყრობილის ადმინისტრაციას. პასუხი ბრძნული და უღრეესად დინჯი იყო:

— ნუ ჭამს...

მორჩა და გათავდა. ნელა დავდივარ საკანში; ხშირი მობრუნ-მობრუნება თავბრუს მახვევს. ძალიან აღმაფრთოვანებელი როდია პალოზე რგოლით დაკიდებული ბორკილი.

მალე საკნიდან გამიყვანეს, კანტორასთან მიმაგდეს. მოვიდა სატვირთო მანქანა, რამდენიმე ავრიკელთან ერთად ძარაში ჩამსვეს. არავითარი ახსნა-განმარტება, არავითარი პასუხი კითხვებზე. მთავარი არგუმენტია შაშხანის კონდახი. ცემას ყველგან ასწრებენ. მანქანაში ფეხზე დავდექი, იქნება დედაქალაქის ამ ყველაზე ხალხმრავალ ადგილას რომელმე ნაცნობი დამენახა, დამეძახნა, რომ ნდოლაში ვიჯექი, რომ იქ იკითხონ, სად გამგზავნეს ამჯერად. მცვლელა ლუსუნინანი ჩექმა დამარტყა მარჯვენა ფეხში და ამავე დროს თოფის კონდახი მხარში.

ძარის ფსკერზე დაწოლილი ვერ ვხედავდი, სად მიგვაქროლებდნენ.

ნ. ხოხლოვი.

ზღვიდან

ბერლინი, 24 მაისი. (საკდესი). ლაიბციგში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მშენებლობის მეოდმეი კომისიის ორიოდ სხდომა. კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა.

კომისიამ განიხილა და მოიწონა თავისი მუშაობის ძირითადი მიმართულებანი 1966-1970 წლების პერიოდში, მეცნიერული და ტექნიკური კვლევის კოორდინაციის დარგობრივი პერსპექტიული გეგმა ამავე პერიოდისათვის და 1966 წლის გეგმის პროექტი.

სხდომამ დაამტკიცა საშენი მასალების, სამშენებლო წარმოებისა და დაპროექტების სტანდარტიზაციის რეკომენდაციები, რომლებიც საბჭოთა ორგანიზაციებმა წარმოადგინეს, აგრეთვე მთელ რიგ სამეცნიერო კვლევით სამუშაოთა შედეგები.

კომისიამ განიხილა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მუშაობის შედეგები, აგრეთვე დასახა აღნიშნულ საკითხებზე შემდგომი საქმიანობის საერთო მიმართულებანი.

კომისიამ განიხილა აგრეთვე წინადადებანი საკვლევ-საძიებელი მშენებლობის დარგში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის შესახებ.

კომისიის სხდომა მიმდინარეობდა საქმიან და მეგობრულ ვითარებაში.

ერთგული მეგობარი

დელი, 25 მაისი. (საკდესი). „პრემიერ-მინისტრ შასტრის ვიზიტს საბჭოთა კავშირში დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ინდოეთისათვის, ისე მთელი მსოფლიოსათვის", — წერს ჟურნალი „მეინსტრიმი". კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ურთიერთგაგებას, რაც მიღწეულია ამ ორი ქვეყნის ხელმძღვანელებს შორის დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე. — განაგრძობს ჟურნალი.

„უეჭველია საბჭოთა კავშირს მშვიდობიანი განზრახვა აქვს, — დასაკვნის ჟურნალი. საბჭოთა კავშირი ბრაძარტ ჩვენი კეთილი მეზობელი, არამედ მეგობარიცაა".

მეგობრულ ვითარებაში

ბერლინი, 24 მაისი. (საკდესი). ლაიბციგში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მშენებლობის მეოდმეი კომისიის ორიოდ სხდომა. კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა.

კომისიამ განიხილა და მოიწონა თავისი მუშაობის ძირითადი მიმართულებანი 1966-1970 წლების პერიოდში, მეცნიერული და ტექნიკური კვლევის კოორდინაციის დარგობრივი პერსპექტიული გეგმა ამავე პერიოდისათვის და 1966 წლის გეგმის პროექტი.

სხდომამ დაამტკიცა საშენი მასალების, სამშენებლო წარმოებისა და დაპროექტების სტანდარტიზაციის რეკომენდაციები, რომლებიც საბჭოთა ორგანიზაციებმა წარმოადგინეს, აგრეთვე მთელ რიგ სამეცნიერო კვლევით სამუშაოთა შედეგები.

თანამგზავრი „პეგასი-2"

ნიუ-იორკი, 25 მაისი. (საკდესი). დღეს 10 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით კენედის კოსმოსის პოლიგონიდან გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „პეგასი-2". როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, თანამგზავრი განკუთვნილია დედამიწისახლო კოსმოსურ სივრცეში მიკრომეტეორიტების ოდენობისა და სიმკვრივის რეგისტრაციისათვის. ეს საჭიროა, რომ გაითვალისწინონ შესაძლო „მეტეორიტული" საშიშროება მომავალი კოსმოსური გაფრენების დროს.



საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემები ხშირი სტუმრები არიან ეთიოპიის ნავსადგურ ასაბში. წელს აქ საბჭოთა კავშირის 110 ხომალდი იყო. მათ ჩაიტანეს 35 ათასი ტონა ტვირთები — საშენი მასალები და მოწყობილობა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისათვის, რომელიც ქალაქ ასაბში სსრ კავშირის დახმარებით შენდება.

სურათზე: საბჭოთა გემი „ივანე სეჩენოვი" რომელმაც ასაბში ჩაიტანა მოწყობილობა ასაშენებელი ქარხნისათვის.

ფოტო ნ. ოლეინიკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

რროლფ ერიქსენი: საქართველო აუვავებული რესურსებლიკაა

„ბავშვცანი აყვავებული რესპუბლიკის ხალხს, საქართველოს, სადაც ცხოვრების ყველა დარგში იგრძნობა პროგრესი", — თქვა თბილისიდან გამგზავრების წინ ნორვეგიის დეპეშათა სააგენტოს დირექტორმა როლფ ვერნერ ერიქსენმა, რომელიც ქართველ ჟურნალისტთა სტუმარი იყო ორი დღის განმავლობაში.

როლფ ვერნერ, ერიქსენი გაეცნო საქართველოს ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს, იყო საქართველოს უძველეს დედაქალაქ მცხეთაში. „ხუროთმოძღვრების ძეგლები, რომლებიც ვნახე, — აღნიშნა მან, — მოწმობს ქართველი ხალხის მდიდარ თავისთავად კულტურას".

ნორვეგიის დეპეშათა სააგენტოს დირექტორმა დაათვალიერა თბილისის ახალი საცხოვრებელი რაიონები, სადაც მარტო შარშან აშენდა 220 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. „დიდი საბინაო მშენებლობა, რაც საბჭოთა ქვეყანაში წარმოებს, — თქვა ბატონმა ერიქსენმა, — მოწმობს, რომ უმჯობესდება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა".

როლფ ვერნერ ერიქსენი ეწვია თეთრი წყაროს რაიონს. იგი გაეცნო ერთ-ერთი კოლმეურნეობის წარმოების ორგანიზაციას, კოლმეურნეთა ცხოვრებას. ბატონმა ერიქსენმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ კოლმეურნეობის ბევრ წევრს სპეციალური უმაღლესი განათლება აქვს. „ადამიანები ამ კოლექტიურ მეურნეობაში, — შენიშნა როლფ ვერნერ ერიქსენმა, — მშვენიერ ნაყოფს იმკიან, ცხოვრობენ შეძლებულად და საამურად".

ნორვეგიის დეპეშათა სააგენტოს დირექტორი შეხვდა ქართველ ჟურნალისტებს.

25 მაისს დილით როლფ ვერნერ ერიქსენი მოსკოვს გაფრინდა. (საკდესი).

ბრიუსელი, 24 მაისი. (საკდესი).

ბელგიის კომუნისტურმა პარტიამ დიდი გაბაოკვება მოიპოვა ბელგიის პარლამენტის არჩევნებში, რომელიც გუშინ გაიმართა.

6 კომუნისტი აირჩიეს ბელგიის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის დეპუტატად — ეს ერთი ადგილით მეტია, ვიდრე 1961 წლის არჩევნებში მიიღო კომუნისტურმა პარტიამ.

მთავრობის კოალიციის პარტიებმა დიდი მარცხი განიცადეს. სოციალურ-ქრისტიანულმა პარტიამ 18 ადგილით ნაკლები მიიღო, ვიდრე აქამდე ჰქონდა, ხოლო ბელგიის სოციალისტურმა პარტიამ 21 ადგილი დაკარგა.

არჩევნების შედეგები და მთავრობის კოალიციის პარტიების მარცხი, რომლებმაც სულ 39 ადგილი დაკარგეს წარმომადგენელთა პალატაში, მოწმობს, რომ პოპულარობით არ სარგებლობს ლეფევრ-სპააკის მთავრობა.

ტანკერი „ანდრეა ბოლინი"

ბუენოს-აირესი, 25 მაისი. (საკდესი). ბუენოს-აირესის ნავსადგურში ტანკერ „ანდრეა ბოლინის" ხანძარი ჩაქრა. ხანძარი ადგილი ჰქონდა ტანკერ „ანდრეა ბოლინის" ტვირთის ამოტუმბვის დროს. ტანკერ „ანდრეა ბოლინზე" ტვირთად ბენზინი ყოფილა. ხანძარი ადგილი ჰქონია

ლიტერატურა და ხელოვნება

მეგობართა სპექტაკლებზე

ოდესის მუსიკალურ-დრამატული თეატრის გასტროლების გამო

ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში საუკუნეების მანძილზე დაგროვილი უამრავი წერილობითი ფაქტი იმ დიდ და გულწრფელ მეგობრობაზე ლაღადებს, რომელმაც უკრაინელი და ქართველი ხალხები დაუკავშირა ერთმანეთს, ქამთა სვლამ ეს მეგობრობა დუღაბით შეკრა და შთამომავლობას ურყევ ტრადიციად უანდერძა.

უკანასკნელ ხანებში მომმე რესპუბლიკების თეატრების მოღვაწეთა მეგობრობამ ახალი ფორმა მიიღო; თითქმის ყოველ წელს მათ მეგობრული მსკავრის გამოსატანად და ურთიერთ გასამდიდრებლად ერთმანეთთან მიაქვთ თავიანთი შემოქმედება.

უკრაინის მოწინავე თეატრების შემოქმედებითი წარმატებები ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში. მათი სახელმოხვეჭილი მოღვაწეები არ ზოგავენ თავიანთ შესაძლებლობებს ჭეშმარიტი რეალისტური ხელოვნების გასამდიდრებლად. ამ თეატრთა შორის არის საბჭოთა უკრაინის პირველი, ოდესის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის უკრაინული მუსიკალურ-დრამატული თეატრი, რომელიც უკვე ათ დღეზე მეტია, ჩვენი დედაქალაქის თეატრალური ცხოვრების ყურადღების ცენტრშია.

თეატრი მაყურებლის წინაშე წარსდგა რეპერტუარით, რომელსაც ძირითადად განსაზღვრავს უკრაინული კლასიკური დრამატურგია („მარინა“ — ჰეროიკული დრამა ტ. შევჩენკოს მოტივებზე, „უიღბლო“ ი. ტობოლევიჩისა, „ორი ყურდღლის მდევარი“ მ. სტარიცკის და მისივე „ბრმა ქალი აზა“). საგასტროლო სპექტაკლებში საბჭოთა თანამედროვეობა წარმოდგენილია ა. კორნეიჩუკის დრამა „დღიურის ფურცლით“ და ნ. ზარუდნის კომედია „მოდის სიყვარულით“, ხოლო დასავლეთ ევროპის კლასიკოდან თეატრს თავისი ყურადღება ვ. ჰიუგოს „მარია ტუდორზე“ შეუჩერებია.

წარმოდგენილი რეპერტუარით თეატრი ძირითადად მოგვითხრობს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების, სიყვარულისა და ინტერესების შესახებ. ეფექტობთ, ამ თვალსაზრისით თეატრი თეული თავისი შემოქმედებით თანამედროვეა. და მაინც, მიუხედავად ამისა, არ



შეიძლება არ ითქვას, რომ წარმოდგენილ რეპერტუარში მკაფიოდ თანამედროვე თემატიკის ხვედრითი წონა.

ოდესის უკრაინული მუსიკალურ-დრამატული თეატრის სპექტაკლების დიდი უპირატესობით მაყურებლისადმი ეცნობა უკრაინელი ხალხის კოლორიტს, ყოფას წარსულსა და თანამედროვეობაში. ამ პიესებშიც კი, რომელებითაც გადმოცემულია სხვა ხალხთა ცხოვრება, თეატრი მაინც ერთგული რჩება საკუთარი ეროვნული თვისებებისა.

ისე როგორც ყველა თეატრში, ოდესის უკრაინულ მუსიკალურ-დრამატულ თეატრშიც არის უკეთესად და ნაკლებ საინტერესოდ განხორციელებული სპექტაკლები. თვითეულ მათგანში არის რაღაც კარგი, დადებითი; ან კარგად განხორციელებული როლი, ან რეჟისორული მონაპოვრებიც და სხვ. მსახიობები ცდილობენ, რომ მათ მიერ შექმნილმა სახეებმა რაც შეიძლება მრავალმხრივ და ნათლად ასახონ ცხოვრების დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენები.

შეიძლება ითქვას, რომ ეს თეატრი აქტიორის თეატრია. მას ჰყავს უფროსი თაობის გამოცდილი ოსტატები ი. ტიერდოხლები, გ. ბობენკო, ვ. სტოროჟენკო, მ. კისელიოვა, ვ. ტუზი, ა. ლუცენკო. მათ დიდ საიმედო ძალად ამოსდგომიან ახალგაზრდა ნიჭიერი ს. გუევა, ი. სამოილენკო, ვ. პლოტნიკოვა და საშუალო თაობის სხვა მსახიობებიც. რომლებიც ძირითადად განაპირობებენ ამ თეატრის შემოქმედებითს წინსვლას.

თაობათა შერწყმისა და ანსამბლურობის შესანიშნავი მაგალითია რეჟისორ ბ. მეშჩერის მიერ შექმნილი სცენური ნაწარმოები „უიღბლო“. პიესა ეკუთვნის XIX საუკუნის მეორე ნახევრის უკრაინელ დრამატურგს, მსახიობსა და რეჟისორს ი. ტობოლევიჩს, რომელიც თეატრალურ ხელოვნებაში ცნობილია კარპენკო-კარის ფსევდონიმით.

პიესა სოციალურ-ყოფითი ხასიათისაა, ჩაგრულ რეჟისორი აღწევს მიზანს და სოციალური ეფექტებით ღრმა დრამატიზმადე აყავს იგი. მიზანსწასვლების ძალალ რეჟისორული კულტურა, სპექტაკლის ანსამბლურობა და კარგად შეკრული კომპოზიცია დადგმას საინტერესოს ხდის. გნატისა და სოფიოს ოჯახებში მომხდარი კერძო კონფლიქტი სპექტაკლში გახსნილია როგორც შეეფარდებლობა ხალხში დაფარულ უდიდეს სასიცოცხლო ძალასა და ცხოვრების მძიმე პირობებს შორის.

სპექტაკლში საინტერესო შემოქმედებითს გამარჯვებას აღწევენ ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობები. ამ სპექტაკლით დადასტურდა, რომ თეატრი გაბედულად აწინაურებს ახალგაზრდობას ფრიად პასუხსაგებ როლებში, რითაც უეჭველ ავლინებს კიდევაც ნიჭიერ ძალებს.

სოფიოს როლით ახალგაზრდა მსახიობმა ს. გუევამ მოგვცა სულით მდიდარი ქალი, განხორციელებული დიდად მოსაწონი სისადავით და შინაგანი დაძაბულობით. ხოლო ახალგაზრდა ვ. პლოტნიკოვას ვარია შემცველია დიდი სულიერი ძალისა, რამაც იფეთქა სიყვარულის გრძნობის გაცრეცების პასუხად და რამაც წარმართა კიდევაც ვარკას ცხოვრება.

სცენის გამოცდილი ოსტატი მსახიობი ი. ბოიკი წინა პლანზე წევს როლისათვის დამახასიათებელ ადამიანურ თვისებებს, რის გამო მსახიობის მიერ განსახიერებული ივანე გულისხმიერი, სათუთად მოყვარული და თავგანწირულად მზრუნველი მამაა.

მაყურებელი მოხიბლა გ. ბოდაკოვსკიას ქვრივმა განამ, რომელიც მსახიობს შეუქმნია კოლორიტული ფერების სიუხვით და ძლიერი ტემპერამენტით. გნატის ფსიქოლოგიურად რთული სახე წარმოგვიდგინა მსახიობმა ბ. ტიუპამ, რომელიც ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მთელ რიგ სცენებში, ადამიანურ ვნებებს იგი ნათელი ფერებით ხატავს.

არა მარტო დასასრულებული მსახიობები, არამედ ამ დადგმის მთელი აქტიორული კოლექტივი ქმნის უდავოდ ანსამბლურ სპექტაკლს, რომელმაც სამართლიანად მოიპოვა მაყურებლის მოწონება.

თეატრის მიერ კლასიკური დრამატურგიიდან, გარდა ორიგინალურისა განხორციელებულია ვ. ჰიუგოს „მარია ტიუდორი“, რომლის დადგმაც ახალგაზრდა რეჟისორ ი. ორლოვს ეკუთვნის. ამ სპექტაკლზე ჩვენ ყურადღებას ვაჩერებთ არა მარტო იმიტომ, რომ პიესა ეკუთვნის იმ დრამატულ ნაწარმოებთა რიცხვს, რომელთა განხორციელებაც საპატიოდ უნდა ჩაეთვალოს ყველა თეატრალურ კოლექტივს, არამედ იმიტომაც, რომ ეს სპექტაკლი აქტიორული შემოქმედებითი წარმატებით გამოირჩევა.

სპექტაკლი აკრიტიკებს გაპატონებულ კლასს, სასახლის კარის ყოფას, დღის სინათლეზე გამოაქვს ფეოდალური საზოგადოების გარყვნილება და უპირატესობებს მას უუფლებო ხალხის კეთილშობილებასა და სიფაქიზეს. რეჟისორი ამ კლასიკურ ნაწარმოებში სწორად ფიქრობს პიესის მარცალს, რასაც ძირითადი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმოდგენის ხარისხისათვის.

სპექტაკლში წამყვან როლს ასრულებს უკრაინის დამსახურებული არტისტი ვ. სტოროჟენკო, რომელიც ყურადღებას აპყრობს ინგლისის აბსოლუტიზმის და ტიუდორების საშიფო დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენლის მარია სტიუარტის სახის ღრმა სცენური განსახიერებით.

ვ. სტოროჟენკოს აქვს შესანიშნავი მონაცემები ავთენტური დედოფლის წარმოსასახავად და მას ქმნის არა მარტო აქტიორული მონახაზის საშუალებებით, არამედ იმ სცენური მოძხიბვლელობითაც, რომლითაც ხასიათდება ეს საინტერესო მსახიობი ქალი. მან შეძლო მთელი სპექტაკლის მანძილზე თავისი გმირის მოქმედების მკაფიო მოხაზვა, მისი აზრების მოძრაობის გადმოცემა, ქმეტექსტის გამოვლინება. ის მარტო თავის გმირს კი არ განასახიერებს, არამედ ითვალისწინებს მთელ პიესას, რათა გადმოსცეს სპექტაკლის ძირითადი დედააზრი.

ვ. ჰიუგოს დრამა „მარია ტიუდორი“ ოდესის უკრაინული თეატრის მიერ კლასიკური მემკვიდრეობის თვისებების კარგი მაგალითია, მაგრამ ეს თეატრი კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს, თუ სცენაზე ისევთვე ძალით ააყოლებს საბჭოთა თემატიკას, როგორც მათთან წარსულის თემატიკა ყოლია.

ყოველ ეპოქაში თეატრები სწორედ მაშინ აღწევდნენ სრულყოფას, როდესაც თვითანთი დროის ცხოვრებით ცოცხლობდნენ და ამაში პოულობდნენ შთაგონების მთავარ წყაროს.

ჩვენს სტუმრებს აქვთ კარგი, ღრმა ზემოქმედებითი ძალის სპექტაკლები, რომლებიც ჩვენმა მაყურებელმა ინტერესით მიიღო. ვუსურვებთ მათ შემდგომ მუშაობაში კიდევ უფრო ნაყოფიერად განახორციელონ ის დიდი იდეალები, რომლებისკენაც მოგვიწოდებს ჩვენი თანამედროვეობა.

ნინო შვანგირაძე.

სურათზე: სცენა სპექტაკლ „მარია ტიუდორიდან“. მარია ტიუდორი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. სტოროჟენკო, სიმონ რენარი — ლ. სავიცკი.

ფოტო ს. კილაძისა.

მახარაძელმა მეჩაიეებმა 4.000 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. აქ დღითიდღე ძლიერდება ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. ამ სურათზე თქვენ ხედავთ სოფელ ასკანის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის რაზოლის მოწინავე მეჩაიეებს, რომლებსაც კ. ნაცვალაძე ხელმძღვანელობს. პირადად მეგრელურმა უკვე მოკრიფა 2 ტონა მწვანე ფოთოლი. მისი რგოლის წევრებს ნარგაზა ჩხაიძეს, სულიკო და ლალი ნაცვალაძეებს მოკრეფილი აქვთ 1,8-1,6 ტონა ფოთოლი თვითეულს.

სურათზე: (მარჯვნიდან მარცხნივ) ს. ნაცვალაძე, კ. ნაცვალაძე, ნ. ჩხაიძე და ლ. ნაცვალაძე.

ფოტო ს. კილაძისა.

ილიღლიანი ბილეთები

გუშინ, 25 მაისს, წულუკიძის კულტურის სახლში მრავალმა მშრომელმა მოიყარა თავი. აქ გაიმართა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1965 წლის (მეხუთე გამოშვების) ლატარიის მოგებათა ტირაჟი. ტირაჟში გათამაშდა 140 ნივთმოგება და 112.360 ფულადი მოგება.

მოგებათა შორის იყო ავტომანქანები „ვოლგა“, „მოსკვიჩი“, „ზაპოროჟეცი“, პიანინოები, მაცივრები, სანამ მოგებათა ტირაჟის ოფიციალურ ცხრილს გამოაქვეყნებდეთ, ვბეჭდავთ ჩვენ ბილეთის ნომრებს, რომელთაც ხვდა მსხვილი მოგებები.

ავტომანქანა „ვოლგა“ ხვდა 10415 სერიის № 45 ბილეთს. ავტომანქანა „მოსკვიჩი“ — 10440 სერიის № 382, 10209 სერიის № 169, 10628 სერიის № 856, 10240 სერიის № 202, 11384 სერიის № 449 ბილეთების მფლობელებს.

ბევრს გაახარებს ავტომანქანა „ზაპოროჟეცის“ მოგებაც. აი ამ ბედნიერი ბილეთების ნომრები: 12821 სერიის № 054, 10708 სერიის № 319, 11387 სერიის № 111, 11667 სერიის № 366, 11608 სერიის № 258.

პიანინოები მოიგეს 10968 სერიის № 257, 12461 სერიის № 413, 12278 სერიის № 370 ბილეთების მფლობელებმა.

ფიქრები საჯურნირო ცხრილთან

დამთავრდა საქართველოს XXVI საჭადრაკო ჩემპიონატი ვაჟებს შორის, რომელიც დაახლოებით ერთ თვეს გრძელდებოდა. მსაჯებმა საათები გააჩერეს და შედეგების ცხრილში უკანასკნელი თვისუფალი უჯრედები შეავსეს. შეჯიბრება ისტორიის კუთვნილება გახდა. მაგრამ ტურნირის სპორტული და შემოქმედებითი შედეგები ფრიად საინტერესოა და უაღრესად გულდასმითი ანალიზის ღირსია.

რამ განსაზღვრა მწვავე და უკომპრომისო თამაში ტურნირში? ჩემი აზრით, რამდენიმე ასეთი ფაქტორი იყო: 1) მონაწილეთა ახალგაზრდული და საკმაოდ თანაბარი შემადგენლობა. 2) ბრძოლა გამარჯვებულთა სამეულში მოხვედრისათვის, რაც საერთაშორისო ტურნირში თამაშის უფლებას იძლეოდა, 3) ოსტატის ნორმის დაწესება.

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს ოსტატ ბუხუტი გურგენიძეს უაღრესად სერიოზულ კონკურენციას უწევდა ოსტატობის ახალგაზრდა კანდიდატი რომან ჯინჯიხაშვილი. ამასთან გურგენიძეს ამჯერად გამისვლა მოუხდა მისთვის რამდენადმე უჩვეულო ამპლუაში: განუწყვეტლივ დასწეოდა მეტოქეს. ბრძოლამ განსაკუთრებულ სიმწვავეს მიაღწია ფინიშზე. ჯინჯიხაშვილმა მწვავე ორთაბრძოლაში, სადაც საუფრო ხან ერთ მხარეს გადაიხრებოდა ხოლმე, ხან მეორეს, მოუგო გროსმაისტერ ო. ხოლმოვს. ახლა ბევრი რამის გადაწყვეტა შეეძლო გურგენიძისა და ჯინჯიხაშვილის პირად შეხვედრას უკანასკნელისწინა ტურში. იგი მიმდინარეობდა რესპუბლიკის ჩემპიონის უპირატესობით, მაგრამ მან მაინც ვერ შეძლო გამარჯვების მოპოვება. შეჯიბრების უკანასკნელი დღისათვის ჯინჯიხაშვილი ერთი ქულით წინ იყო გურგენიძეზე. მაგრამ დამარცხდა ოსტატ თ. ლომაიასთან ბრძოლაში. გურგენიძემ კი კარგი სტილით მოუგო სოჭერის გროსმაისტერს. ამრიგად გურგენიძემ და ჯინჯიხაშვილმა პირველი და მეორე ადგილი გაინაწილეს! ტურნირი დამთავრდა, რესპუბლიკის ჩემპიონი კი დასასრულებელი არ არის! ეს წოდება რამდენიმე ხნის შემდეგ გათამაშდება გამარჯვებულებს შორის ექვსი პარტიანაგან შემდგარ მატჩში.

გურგენიძე ჭადრაკის დიდი ოსტატია მკაფიო შემოქმედებითი ინდივიდუალობით და თამაშის თავისებური მანერა აქვს მთელი ტურნირი მან ბაღალ დონეზე ჩაატარა. მართალია, იყო მომენტები, როცა გურგენიძე წაბორძიკებდა ხოლმე (წაგება ა. ბუსლაევთან და ო. ელიოზიშვილთან), მაგრამ შემდეგ კიდევ უფრო დიდი ენერგიით სჭიდდა გამარჯვებას. მისი წარმატება სავსებით დამსახურებული და კანონზომიერია. გურგენიძის აქტიური ბევრი კარგად ჩატარებული ორთაბრძოლა, საინტერესო ჩანაფიქრი და ლამაზი კომბინაციაა. დასამახსოვრებელია მისი ლამაზი გამარჯვება რ. ხოლმოვთან შეხვედრაში.

ჯინჯიხაშვილისათვის ტურნირში გამოსვლა უთუოდ დიდი წარმატებაა. მან პირველად გადალახა ოსტატობის ბარიერი. მის აქტივში ყველაზე მეტი გამარჯვება — 10, ოთხი შეხვედრა მან ყაიმით დამთავრა და სამი წაგო. მაგრამ წაგება შეიძლებოდა მეტიც ყოფილიყო. ჯინჯიხაშვილს აქვს მთელი რიგი თვისებები, რომლებიც მას ახასიათებს როგორც კარგი პერსპექტივების მქონე მოჭადრაკეს. იგრძნობა, რომ კარგი სკოლა აქვს გავლილი, იცის თანამედროვე თეორიის ამბები, კარგად გრძნობს პოზიციას, საკმაოდ კარგი ინტუიცია აქვს, ადვილად პოულობს გამოსავალს დაცვაში, სწრაფად ანგარიშობს ვარიანტებს. მაგრამ მეტწილად სწორედ აქ შეცდება ხოლმე: ეს იმის შედეგია, რომ გადაწყვეტილებებს იგი ხშირად ნაჩქარევად იღებს. ამ ტურნირში მას ბევი სწყალობდა და გადარჩა რამდენიმე პარტიაში, რომლებშიც წაგება ემუქრებოდა. გვინდა ვუსურვოთ ჯინჯიხაშვილს განთავისუფლდეს ზერელობისაგან. უამისოდ მას არ შეუძლია სტაბილური შედეგების იმედი ქონდეს ძლიერ ტურნირებში.

ტურნირის ერთ-ერთი გმირი გახდა ოთარ ელიოზიშვილი. ცოტა ვინმეს თუ ქონდა იმედი, რომ მისთვის მისაწვდომი გახდებოდა ოსტატის ძნელი ნორმა. ელიოზიშვილმა გამოიცდა სავსებით წარმატებით ჩაბარა. ახლა საერთაშორისო ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვა. მან უწინარეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიაქციოს სადებიუტო მომზადებას.

ოსტატის ნორმასთან ახლო იყო ი. ვეტოხინიც, მაგრამ უკანასკნელ ტურებში რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი ბრძოლა წაგო კონკურენტებთან და სასურველ ნორმამდე ნახევარი ქულა დაკლდა.

ოსტატ ა. ბუსლაევს დიდხანს ჰქონდა გამარჯვებულთა სამეულში მოხვედრის შანსები, და მხოლოდ ტრადიციულმა ხენნა — ციტონოტმა შეუშალა ხელი მიეღწია ამისათვის.

ცალკეულ შეხვედრებში საინტერესო თამაში აჩვენა ოსტატობის ახალგაზრდა კანდიდატმა თამაზ ციორგაძემ. მართალია, ჯერჯერობით იგი ვერ უმკლავდება უფრო ძლიერ მეტოქეებს.

გ. მაკავარიანი და დ. ბერაძე კარგად, მკვირცხლად თამაშობენ, როცა ინიციატივა აქვთ, მაგრამ პოზიციურ ბრძოლასა და დაცვაში საგრძნობად უფრო სუსტი არიან. ამ სტრეჭინების ავტორმა თვითონ განიცადა მაპავარიანის იერშინის ძალა — ამ შეჯიბრებაში მხოლოდ ერთხელ მომიხდა დამარცხებულად მეენო თავი.

ახალგაზრდა ოსტატმა ა. ბოკუჩავამ ტურნირის დასაწყისში კარგი განაცხადი გააკეთა მაღალ შედეგზე. მაგრამ სატურნირო დაძაბულობას ვერ გაუძლო და მთლად მოეშვა ფინიშზე — უკანასკნელი ხუთი პარტია წააგო.

თანაბრად ვერ ითამაშეს ტურნირში ი. ჩიქოვანმა და ე. მიქაელიანმა. ოსტატები გ. კიკიანი და თ. ლომაია თავიანთ შესაძლებლობაზე აშკარად უფრო სუსტად გამოვიდნენ.

ბ. ჩხაიძე თბილისიდან მიდის რ. ხოლმოვზე მოპოვებული გამარჯვებით, მაგრამ საერთოდ სეირნოწული პრაქტიკის უქონლობა ემჩნეოდა. გ. გამრეკელი რამდენიმე წელია სერიოზულ შეჯიბრებებში არ გამოსულა, და ამან გარკვეული დაღი დაასვა მის თამაშს.

ინტერესით ვადევნებდი თვალს მსოფლიოს ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის გამოსვლას. შემოქმედებითი თვალსაზრისით მისი თამაში ყოველთვის საინტერესოა. იგი არასოდეს არ ერიდება ბრძოლას, თამაშობს შემტევად და მწვავედ მის საუკეთესო მიღწევებად მიმაჩნია ყაიმები ორივე გროსმაისტერთან, რასაც რთული და შინაარსიანი ბრძოლის შემდეგ მიაღწია. ნონა ახლა ა. კუშნირთან მატჩისათვის ემზადება. ამიტომ მისი გამოსვლა მარტო დაგრეგვებულ ქულათა რაოდენობით როდი უნდა შეფასდეს. მისთვის ეს ტურნირი უწინარეს ყოვლისა ატარებდა.

თვალს რომ გადავავლებთ ეს-ეს არის დამთავრებულ ჩემპიონატს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი სასიამოვნო იყო ყველა მონაწილისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რა ადგილი დაიკავეს. შეჯიბრებაზე ნამდვილად სპორტული ვიოარება იყო. მსაჯთა კოლეგია უნაკლოდ მუშაობდა.

მართალია, საჭადრაკო კლუბი აშკარად პატარაა ასეთი შეჯიბრებისათვის ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა უკანასკნელ დღეებში, როცა დარბაზი თამაშის ნახვის ყველა მსურველს ვერ იტევდა.

საერთოდ შესამჩნევია ქართველ მოჭადრაკეთა განსაკუთრებით ახალგაზრდობის გარკვეული ზრდა. რესპუბლიკის ნიჭიერი მოჭადრაკენი ჰყავს, და ეს იმის საწინდარია, რომ ქართველი მოჭადრაკე ქალების შემდგომ ისინი დიდ საბჭოთა საჭადრაკო ასპარეზზე გამოვლენ და სასახელოდ დაიკავენ საქართველოს სპორტულ ღირსებას.

ე. ვასიუკოვი.
საერთაშორისო გროსმაისტერი.

ტრიუმფით...

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი თბილისში დაბრუნდა

საზღვარგარეთის ქვეყნებში მორიგი საგასტროლო მოგზაურობიდან გუშინ თბილისში დაბრუნდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დასმსახურებული ანსამბლი. ანსამბლის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ნინო რამიშვილმა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს მოკლედ მოუთხრო ქართველ მოცეკვავეთა ამ ტურნეს შესახებ.

— თითქმის სამთვიანი ვიყავი ამ მგზაურობდით, — თქვა ნ. რამიშვილმა. — როგორც იცით, თბილისიდან 12 თებერვალს გავფრინდით. ამ გასტროლებს შეგვიძლია ვუწოდოთ განმეორებითი, რადგან ყველა ქვეყანა, სადაც კი ახლა ვიყავით, ჩვენს ანსამბლს უკვე იცნობდა.

გასტროლები დავიწყეთ საფრანგეთში, კერძოდ მის სამხრეთ ნაწილში. პირველი გამოსვლა გვქონდა ნიცაში. შემდეგ კონცერტები გავმართეთ სხვა ქალაქებში, კერძოდ მონპელიეში, ავინიონში, ტულონში, ლიონში, ნანტსა და კანში.

შემდეგ კი ვეწვიეთ პარიზს, სადაც 1957 წლიდან არ ვყოფილვართ. აქ დაახლოებით 40 დღე დავრჩით. საერთოდ საფრანგეთში ორ თვეზე მეტ ხანს ვიყავით.

საფრანგეთის დიდ ქალაქებში და, ცხადია, სხვებშიც, ყველა კონცერტმა წარმატებით ჩაიარა. ვფიქრობ, ამაზე სიტყვის გაგრძელებაც საჭირო არ არის. პრესაში საოკეთესო რეცენზიები დაიბეჭდა. რეცენზიტენტები ერთხმად აღნიშნავდნენ ჩვენი ანსამბლის პროფესიულ და შემოქმედებითს ზრდას. განსაკუთრებით მოსწონდათ კოსტიუმები, რომლებიც, როგორც ალბათ იცით, სოლიო ვირსალაძეს ეკუთვნის.

პარიზიდან ბელგიას ვეხეტუმრეთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში უკვე მესამედ ვიყავით და ამიტომ ანსამბლის ხელოვნებას კარგად იცნობდნენ, მაინც წარმატებაც და ინტერესიც კვლავ დიდი იყო. კონცერტები ბელგიის ქალაქი მოვიარეთ. თვით დედაქალაქ ბრიუსელში ექვსი გამოსვლა გვქონდა. ანსამბლის კონცერტებზე დასასწრებად სპეციალურად ჩამოდიოდნენ ინგლისიდან ესპანეთიდან, ქალაქ პიუნსენიდან.

ჩვენი ამ საგასტროლო მოგზაურობის მესამე — ბოლო ქვეყანა იყო ჰოლანდია, სადაც მეორედ ვიყავით. ორი კონცერტი გვქონდა ჰაგაში. შემდეგ კი ამსტერდამში გამოვდიოდით.

პარიზსა და ამსტერდამში კონცერტებს ესწრებოდა ინგლისელი იმპრესარიო, რომელმაც 1966 წლისათვის საგასტროლოდ ინგლისში მიგვიწვია.

მოწვეული ვართ აგრეთვე იტალიაში, ავსტრიაში და ესპანეთისა ქვეყნებში. ეს გასტროლები ალბათ წელსვე. შემოდგომაზე გაიმართება. მანამდე კი, მცირედი შესვენების შემდეგ, საქართველოს, ყირიმის, მოსკოვისა და ლენინგრადის მაყურებელთა „განკარგულებაში“ ვიქნებით.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲕᲐᲙᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲙᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ:

1. თეორიული მექანიკის კათედრის დოცენტი — 1
2. სკკპ ისტორიის კათედრის დოცენტი — 1.
3. საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორი — 1. (საათობრივი ანაზღაურების წესით).
4. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პროფესორი—1
5. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პროფესორი — 1.
6. პოლიტიკური ეკონომიის კათედრის (არაეკონომიური სპეციალობებისათვის) დოცენტი — 1.
7. ფინანსებისა და კრედიტის კათედრის დოცენტი — 2.

იმ პირებმა, რომლებმაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში, განცხადება უნდა შემოიტანონ უნივერსიტეტის რექტორის სახელზე და ამავე დროს წარადგინონ აცნობონ ამაზე იმ დაწესებულებას ხელმძღვანელს, სადაც ამჟამად მუშაობენ.

განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებასა და ხარისხში დამტკიცების სიბუთების სათანადოდ შემოწმებული პირები, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სპეციალური შრომების სია და რეცენზიები მათზე.

კონკურსის ვადაა ერთი თვე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

უნივერსიტეტის მისამართია: ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 1.

გრძელდება ხელმოწერა

ჟურნალ-გაზეთებზე 1965 წლის მეორე ნახევრისათვის

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲖᲔ 1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡᲐᲛᲓᲔ, ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲖᲔ — 12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡᲐᲛᲓᲔ, ᲛᲝᲛᲔᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲖᲔ — 15 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡᲐᲛᲓᲔ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲖᲔ — 22 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡᲐᲛᲓᲔ.

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ „ᲡᲝᲕᲭᲝᲖᲞᲘᲠᲐᲢᲘᲡ“ ᲓᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲒᲐᲑᲛᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲓᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲐᲜ.

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲘ

სსრ კავშირის თასზე

ᲐᲛᲝᲬᲘᲜᲣᲠᲐ სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთექვსმეტეფინალური შეხვედრები ფეხბურთში. უკანასკნელი ასეთი მატჩი შედგა გუშინ ლენინგრადში ადგილობრივი „ზენერტისა“ და „დინამოს“ გუნდებს შორის. დინამოელებმა აჩვენეს მაღალტექნიკური და ტემპიანი ბრძოლა და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

ამიგად, ლენინგრადის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვეფინალში გავიდა.

მერვეფინალის კალენდარი

ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვეფინალების კალენდარი ფეხბურთში?

მოსკოვში — „სპარტაკი“ (მოსკოვი)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — 1 ივნისს, ალმა-ატაში — „დესნა“ (ჩერნიგოვი)-„კაირატი“ (ალმა-ატა) — 31 მაისს, „დინამო“ (მოსკოვი)-ლენინგრადის „დინამო“ — 31 მაისს, კუიბიშევში — „ავანგარდი“ (ტურნოპოლი)-„კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — 1 ივნისს, „დინამო“ (მინსკი)-„შახტიორი“ (ყაზანი) — 27 მაისს, დონეცკში — „სკა“ (ნოვოსიბირსკი)-„შახტიორი“ (დონეცკი) — 29 მაისს, კოსტრომაში — „ზნამია ტრუდა“ (ორეხოვო-ზუევი)-„ტექმაში“ (კოსტრომა) — 30 მაისს.

შესვენება შემოდგომამდე

ᲚᲝᲜᲓᲘᲡᲨᲘ და ბაკოში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს წყალბურთელთა ასპარეზობა. ეს იყო საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტური. წინ არის დასკვნითი პაექრობა, რომელიც შემოდგომაზე მოსკოვში გაიმართება.

თუ პირველი წრის სტატი თბილისის დინამოელებისათვის იდეალური აღმოჩნდა, ამას ვერ ვიტყვით ბრძოლის შემდგომ ეტაპებზე, კერძოდ ლენინგრადის მატჩებზე. მათ დათმეს პოზიცია და 21 ქულით მეოთხე ადგილზე გადაინაცვლეს.

ლიდერობას სამხედრო-სანზღვაო ფლოტის გუნდი ინარჩუნებს. დღეისათვის მას 24 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა ბაკოს კკფ (23 ქულა). მესამეზე — მოსკოვის „დინამო“ (22 ქულა) მეხუთეზე — მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი (19 ქულა).

მართალია, ჩემპიონატზე შესვენება ცხადდება, მაგრამ ჩვენი ქვეყნის წყალბურთელებს, კერძოდ ნაკრებ გუნდს შემოდგომამდე მრავალი პასუხსაგები ასპარეზობა მოელის.

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲓᲐᲜ

ᲕᲘᲜ ᲒᲐᲕᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ?

დღეს რიგაში დაიწყება გროსმაისტერების ბ. სპასკისა და ე. გელერის ნახევარფინალური მატჩი ჭადრაკში. ეს მატჩი გამოავლენს ერთ-ერთ ფინალისტს პეტროსიანთან შეხვედრის უფლების მოსაპოვებლად. მეორე ფინალისტი უნდა გამოავლინოს მეოთხედფინალურმა და ნახევარფინალურმა მატჩებმა.

ე. გელერისა და ბ. სპასკის მატჩში გათამამდება ათი პარტია. თუ ანგარიში თანაბარი (5:5) აღმოჩნდა, მოეწყობა დამატებით 4 პარტია, შემდეგ კი ფინალში გასვლის საკითხს გადაწყვეტს კენჭისყრა.

სპეციალისტების აზრით, ამ მატჩში უნდა მოველოდეთ შეუპოვარ ბრძოლას, ტ. პეტროსიანთან შეხვედრის ყველაზე